

ეროვნული თავისუფლების იდეა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის  
ირლანდიურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ლიტერატურაში

აიგუნ სულიმანოვა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული  
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მიმართულება:  
ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ბელა წიფურია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

**სარჩევი**

|  |    |
|--|----|
| აბსტრაქტი .....  | 3  |
| Abstract .....   | 4  |
| შესავალი .....   | 5  |
| I თავი .....   | 7  |
| 1.1 ირლანდიის კოლონიზაცია. მოდერნიზმი .....  | 7  |
| 1.2 ჯეიმს ჯოისის შემოქმედება .....   | 8  |
| 1.3 თავისუფლებისა და ეროვნული იდენტობის თემა „დუბლინელებში“ .....  | 12 |
| II თავი .....  | 22 |
| 2.1 მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება .....  | 22 |
| 2.2 მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური შეხედულებები .....  | 25 |
| 2.3 ცარისტული რეჟიმის დახასიათება მოთხრობაში „ლამბალო და ყაშაში“ .....                                   | 26 |
| III თავი .....   | 32 |
| 3.1 აჰმედ ჯავადი .....   | 32 |
| 3.2 მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში. ომის დროინდელი შრომითი საქმიანობა და ლიტერატურული შემოქმედება ..... | 33 |
| 3.3 ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა და აჰმედ ჯავადის შემოქმედებაში .....                                   | 39 |
| დასკვნა .....  | 44 |
| ბიბლიოგრაფია .....   | 47 |

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში აზერბაიჯანულ, ქართულ და ირლანდიულ ლიტერატურაში თავისუფლების, ეროვნული იდენტობის და კოლონიზაციის პრობლემები.

ნაშრომი მიზნად ისახავს, აჩვენოს, თუ რა როლს თამაშობს ლიტერატურა ხალხის ცხოვრებაში კოლონიზაციის პრობლემებთან წინააღმდეგობის პროცესში და რამდენად ანალოგიურია ეს როლი განსხვავებულ კულტურებში.

ნაშრომში საანალიზო მასალად შერჩეულია შემდეგი მწერლების შემოქმედება: აზერბაიჯანული ლიტერატურიდან - აჰმედ ჯავადის პოეზია, ქართული ლიტერატურიდან - მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, კონკრეტულად კი მოთხრობა „ლამბალო და ყაშა“, ირლანდიული ლიტერატურიდან კი - ჯეიმს ჯოისის შემოქმედება, კერძოდ მოთხრობათა კრებული „დუბლინელები“.

ნაშრომში განხილულია ამ მწერლების როლი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, კოლონიზატორი ქვეყნების მიერ მათთვის შექმნილი სირთულეები. ნაწარმოებებში გარკვეული დეტალების მიხედვით გაანალიზებულია მათი პოლიტიკური შეხედულებები და ქვეყნის იმდროინდელი სიტუაცია.

დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგი და სამივე კულტურაში არსებული მსგავსებები და განსხვავებები.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, ქართულ და ინგლისურ აბსტრაქტებს, შესავალს, სამ თავს, დასკვნას, გამოყენებული ლიტერატურის სიას.

## **Abstract**

The paper discusses the problems of freedom, national identity and colonization in Azerbaijani, Georgian and Irish literature of the first half of the twentieth century.

The paper aims to show the role of literature in people's lives while their attempts of preserving their national values and stimulate the strive to sovereignty. We see the similarities of this role in different cultures.

The works of the following writers are selected as analytical material of the paper: Ahmed Javad's Poetry from Azerbaijani Literature; Mikheil Javakhishvili's "Lambalo and Kasha" from Georgian literature; and from the Irish literature - "Dubliners" by James Joyce.

The paper discusses the role of above-mentioned writers in the political and cultural life of their countries, they reflect the difficulties created by the colonizing states. The literary responses given to these difficulties empower the nations in their resistance to the colonizers.

The conclusion summarizes the results of the study and demonstrates the similarities and differences between the writers/literatures of these three countries.

The paper includes a table of contents, Georgian and English abstracts, an introduction, three chapters, a conclusion, and a list of references.